პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — Орган ЦК и ТК КП Грузии и Советов Депутатов Трудящихся Грузинской ССР

№ 301 (9769) | ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სასტიკად დავსაჯოთ ჩვენი სამშობლოს მოღალატენი. — ე. ბურჭულაძე. — ზიზღი და სიძულვილი სამშობლოს მოღალატეებს. ო. თაქთაქიშვილი. — ხელოვნების მუშაკთა ხმა. ნ. თუშიშვილი. — მძლავრი ლახვარი — სამშობლოს მტრებს! ლ. მარღიშვილი. — არავითარი შებრალება ხალხის მტრებს! (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — პარტიის რაიონული კომიტეტი და მეცხოველეობის საკითხები (მე-2 გვერდი).
ვ. კოპალეიშვილი. — განა შეიძლება დეკემბერი მაისის ამინდს ველოდოთ?.. (მე-3 გვერდი).
ნ. ჩხეიძე. — საყურადღებო [illegible] ლიტერატურის შესახებ (მე-3 გვერდი).
მოსკოვი (მე-3 გვერდი).
გასტროლები ლენინგრადში (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე. — ბელგიის კონგო ამერიკელ-აგრესორთა სამსახურში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საკოლმეურნეო სოფლის ოქროს ფონდი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა მტს-ებში მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნა, რომელთაც უნარი ექნებათ ყველაზე სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და ამით უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნა მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების საფუძველია. 1954 წლის გაზაფხულისათვის ჩვენი დიადი ქვეყნის მტს-ები მიიღებენ 100 ათას სპეციალისტს, რათა ყოველ კოლმეურნეობას მომსახურებას უწევდეს აგრონომი, ხოლო დიდ კოლმეურნეობას — აგრონომი და ზოოტექნიკოსი.

ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას სპეციალისტთა კადრებით მტს-ების განმტკიცების შესახებ მხურვალედ გამოეხმაურნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მრავალი ინჟინერ-მექანიკოსი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი უკვე გაემგზავრა სოფლად მუდმივ სამუშაოზე. ისინი თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად თვლიან პრაქტიკული მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ბევრი მათგანი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებთან ერთად დაუღალავად შრომობს, ეფექტიანად ეხმარება კოლმეურნეობებს მოსავლიანობის გადიდების ახალი ხერხების პრაქტიკულად დანერგვის, პიროტყვის სანიმუშოდ გამოზამთრების, საკვების მექანიზებული წესით შემზადების, საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ მომზადების, საკოლმეურნეო წარმოებაში ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის დანერგვის საქმეში. ამას მოწმობს უკანასკნელ ხანს პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

კოლმეურნე გლეხობის, მექანიზატორთა წინაშე დგას დიდი ამოცანები — წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს, მიაღწიონ ახალ მკვეთრ აღმავლობას მეცხოველეობის განვითარებაში, სრულყოფილად დაეუფლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვასა და რგვას, გადაჭრით აამაღლონ სოციალისტური სოფლის კულტურა.

ამ კეთილშობილური ამოცანების განხორციელებაში დიდია ჩვენი სპეციალისტების როლი. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საკოლმეურნეო სოფლის ოქროს ფონდია. სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მტს-ებისა და კოლმეურნეობების კადრებით დაკომპლექტების მხრივ ყველგან ყველაფერი რიგზე იყოს. პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ინჟინრების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების შერჩევა და გაგზავნა მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიმდინარე წლის 10 დეკემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გაგზავნილი იყო 1.726 აგრონომი და ზოოტექნიკოსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 სპეციალისტისა ეს მოწმობს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო ჯერ კიდევ არასაკმაო ღონისძიებებს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გაგზავნის დაჩქარებისათვის.

ზშირად ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ფორმალურად უდგებიან სპეციალისტების შერჩევას მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში 60-დან მხოლოდ 30 სპეციალისტია გაგზავნილი. სპეციალისტთა კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აკლიათ კადრები თეთრი წყაროს და ადიგენის რაიონებს. მტს-ების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება ერთ-ერთი იმ გადაუდებელ ამოცანათაგანია, რაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე. როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტები მოწმობენ, მთელ რიგ რაიონებში ამ ამოცანის გადაჭრა ზანტად, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, პარტიის დუშეთის, თეთრი წყაროს, ადიგენის რაიონული კომიტეტები და რაიასაბჭოების აღმასკომები რატომღაც ურიგდებიან და ითმენენ ნაკლოვანებებს ამ საქმეში, არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას კოლმეურნეობების სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

არის ფაქტები (მაგალითად, აფხაზეთში, თელავში, ასპინძაში), როცა სოფლად მუდმივ სამუშაოზე წასულ სპეციალისტებს მზრუნველობით არ ეკიდებიან, არ უქმნიან მათ ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს, ამის გამო ვხვდებით კაღრების დენადობას. რაიონული კომიტეტები და რაიასაბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან უზრუნველყონ სპეციალისტთა მუშაობის პირობების გაუმჯობესება და მათი სწორი გამოყენება, თავიანთი მხედველობის არედან არ გაუშვან მტს-ებისა და კოლმეურნეობების უნარიანი, მცოდნე სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის საკითხები.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მთელი სერიოზულობით უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ ყოველ სპეციალისტს განუვითარონ პროფესიული სიამაყის გრძნობა, გაუღვიძონ შემოქმედებითი ძიების სულისკვეთება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სპეციალისტები კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი მონდომებით აკეთებდნენ თავიანთ ღვიძლ საქმეს — მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეს.

თავის მხრივ სპეციალისტები მოწოდებული არიან ახალი შრომითი საქმეებით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მათი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მტს-ის აგრონომი, რომელიც მუდმივ მომსახურებას უწევს ერთ კოლმეურნეობას, თვალყურს უნდა ადევნებდეს მტს-სა და კოლმეურნეობას შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებას. იგი ვალდებულია იბრძოდეს იმისათვის, რომ დროულად შესრულდეს აგროტექნიკური წესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. აგრონომები და ზოოტექნიკოსები უნდა მოსავლისა და პიროტყვის პროდუქტიულობის ამაღლების ნამდვილი ორგანიზატორები უნდა იყვნენ.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა იმისათვის, რომ შეარჩიონ და სოფლად გაგზავნონ მართლაც საუკეთესო მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

გულმოდგინედ შევარჩიოთ საკოლმეურნეო სოფლისათვის აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და ინჟინერ-მექანიზატორთა კადრები, ხელი შევუწყოთ მათი იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტის ამაღლებას, სოფლად მუდმივ სამუშაოზე წასულნი უზრუნველვყოთ საცხოვრებელი ბინებით, ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობებით — აი, რა არის ახლა მთავარი.

ასეთი მზრუნველობისა და ყურადღების პირობებში ინჟინერ-მექანიზატორები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები შეძლებენ სერიოზული წვლილი შეიტანონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები

პიერ კოტი — ეროვნული კრების დეპუტატი (საფრანგეთი).

საჰიბ სინგ სოკხეი — ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოს წევრი.

ანდრეა გაჯერო — მლდელი (იტალია).

იზაბელა გლუმი — პარლამენტის დეპუტატი (ბელგია).

ჯოვარდ ფასტი — მწერალი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ჯონ ბერნალი — ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი (ინგლისი).

ლეონ კრუჩკოვსკი — მწერალი (პოლონეთი).

პაბლო ნერუდა — მწერალი (ჩილი).

ანდრეა ანდრეენი — მედიცინის დოქტორი (შვეიცია).

ნ. ვ. პოპოვა — პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი (სსრ კავშირი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ლიტერატურული საღამო გორში

გორი. (საკ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ტრადიციული ლიტერატურული საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა ი. აბაშიძემ.

პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი, და დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები, მოთხრობები წაიკითხეს ქართველმა მწერლებმა აკ. ბელიაშვილმა, კ. კალაძემ კ. გამსახურდიამ, ს. შანშიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, რ. მარგიანმა, ხ. ბერულავამ, ო. ჭელიძემ, ა. ადამიამ, თ. ჯანგულაშვილმა, შ. ამისულაშვილმა, ვ. გორგანელმა, ალ. ბეგაშვილმა.

საღამოზე ლექსები წაიკითხეს აგრეთვე ოსმა პოეტებმა რ. ასაევმა და ი. ცხოვრებოვმა.

რუსმა პოეტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა კ. სიმონოვმა წაიკითხა თავისი რამდენიმე ლექსი.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

მეთევზეთა დაბის მშენებლობა

ბათუმი. (საკ. კორ.). სახელმწიფო თევზჭერის ბათუმის ბაზამ მეთევზეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ქალაქ ბათუმში მოსკოვის ქუჩის ბოლოში დაიწყო მეთევზეთა დაბის მშენებლობა, რაზეც 1 მილიონ 55 ათასი მანეთი დაიხარჯება. წელს მშენებლობაზე ათვისებულ იქნება 570 ათასი მანეთი.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს სახლების კაპიტალური პირველი სართულების მშენებლობა, რომლებსაც მეორე სართულად დაედგმება სტანდარტული ფინური სახლები. ბათუმის ბაზამ უკვე მიიღო ათი ასეთი სახლი. მომავალი წლის პირველ კვარტალში დამატებით მიიღებენ 25 სტანდარტულ სახლს.

მეშახტეთა ბავშვების დასვენება არდადეგების დროს

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). საექსპლოატაციო შახტების პროფკავშირის საშახტო კომიტეტებმა ადგილობრივი სკოლების ხელმძღვანელებასთან ერთად შეიმუშავეს არდადეგების პერიოდში მეშახტეთა ბავშვების შინაარსიანი დასვენების გეგმა. პროფკავშირის კომიტეტებმა გამოჰყვეს სათანადო თანხები მუშათა კლუბებში საახალწლო ნაძვისხის მოსაწყობად და მოსწავლეთათვის სხვადასხვა საჩუქრების შესაძენად.

არდადეგების პერიოდში სისტემატურად იქნება ნაჩვენები საბავშვო ფილმების დღის სეანსები. სასკოლო და საშახტო ბიბლიოთეკებიც ემზადებიან მომავალი არდადეგებისათვის.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

მზადება ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში გაჩაღდა მზადება საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტში ამ საკითხზე გაიმართა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი. პარტიულ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე ქალაქის ბიბლიოთეკებში და წითელ კუთხეებში მოეწყო რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის ურღვევი მეგობრობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

მაღაროებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლექციათ-მოხსენებები შემდეგ თემებზე: „რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიული მნიშვნელობა“, „უკრაინელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“, „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის უკრაინაში“, „საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა“, „უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობა“, „დავით გურამიშვილი და უკრაინა“ და სხვ.

ჭიათურელი მაღაროელები, რომლებიც ნიკოპოლის მაღაროელებს ეჯიბრებიან, განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ ამ დღეებში, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნონ სახელოვანი თარიღი. მაღაროელები მეგობრულ წერილებს უგზავნიან თავიანთ უკრაინელ ამხანაგებს.

მახარაძელები სტუმრად მოელიან უკრაინელ მეგობრებს

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით შეხვდნენ ცნობას რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ფართოდ აღნიშვნის შესახებ. დაიწყო მზადება ამ თარიღისათვის. შედგენილია ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების გეგმა და გამოყოფილია მომხსენებლები, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში აწყობენ ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს. კინოთეატრებში უჩვენებენ ხალხთა მეგობრობის ამსახველ კინოსურათებს.

განსაკუთრებით საზეიმო განწყობილებაა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა, როგორც ცნობილია, ინიციატორია ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებისა, რაც უკვე 16 წელია გრძელდება. ამ დღეებში აქ საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ბოლქვაძემ კოლმეურნეთათვის წაიკითხა ლექცია — „ბოგდან ხმელნიცკი, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი“. აქვე აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრეები აწყობენ საუბრებს ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

მშრომელთა ამ საზეიმო განწყობილებას მეორე სასიხარულო ამბავი დაემთხვა. ამ დღეებში აქ მოელიან ძვირფას სტუმრებს — მეგობარ უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციას. მთელ კოლმეურნეობაში გაცხოველებული მუშაობაა. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ, რათა წარმატებით დაამთავრონ სამეურნეო წელი და მეგობრებს უპატაკონ, რომ შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება განაღდებულია. ძვირფასი სტუმრებისათვის მათ დასაკრეფად დატოვეს მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ნაყოფით დახუნძლული ბაღი.

— დაე ძვირფასმა სტუმრებმა თავიანთი ხელით დაკრიფონ ჩვენ მიერ მათთვის მიძღვნილი ეს მცირედი საჩუქარი, — აცხადებენ ისინი.

გრძელვადიანი კრედიტი ინდივიდუალურ მშენებლებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქალაქის ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის შარშანდელთან შედარებით წელს 200.000 მანეთით მეტია გამოყოფილი. წელს მათ 450.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს. ქალაქის მცხოვრებნი აშენებენ ლამაზ და კოხტა შენობებს. ხესხი ძირითადად ეძლევათ მუშებს, ექიმებს, მასწავლებლებს.

გრძელვადიანი კრედიტი მიეცა 77 მშენებელს. აქედან უკვე დაამთავრა სახლების მშენებლობა ოცდახუთმა კაცმა, მათ შორის ექიმმა შ. კვირკველიამ, მუშებმა გ. ჩილაჩავამ, ა. ფიფიამ, მ. ვახანიამ და სხვ. ქალაქის ინდივიდუალური ბინათმშენებლების რიცხვი დღითიდღე მატულობს.

ჩვენს დიად სამშობლოში

საბჭოთა მომხმარებლებს — ქარგი ხარისხის ქსოვილები

პეტრე ალექსეევის სახელობის წმინდა მაუდის ფაბრიკის დირექტორი შ. ქაჯნინი

ასობით მეტრ შალის ქსოვილებს უშვებს ყოველდღე ჩვენი საწარმო. დრაფი, დეში, მოსკოვური დრაფი, მოსკოვური ფულე, ტრიკო „ნოვატორი“ და სხვ. კარგად არის ცნობილი საბჭოთა მომხმარებლებისათვის. ფაბრიკის ასორტიმენტშია ასზე მეტი მოხატულობის, შეფერადებისა და ელფერის ქსოვილები.

საწარმოს კოლექტივი ეძებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ახალ შესაძლებლობებს. დრაფებისა და წმინდა მატყლის სხვა ქსოვილების გამოშუშავება შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა. თერთმეტნახევარი თვის განმავლობაში დამატებით დამზადდა 66 ათას მეტრზე მეტი ეს მაღალხარისხოვანი ქსოვილები.

უახლოეს ხანში საქსოვ საამქროს შეემატება ახალი მოწყობილობა — მაღალი წარმადობის დაზგა-ავტომატები. ამ დაზგა-ავტომატებით დაიწყება საკოსტუმე ქსოვილების გამოშუშავება ნაგრეხი ნართისაგან.

რეკონსტრუქციის შემდეგ ფაბრიკის სიმძლავრე მნიშვნელოვნად გაიზრდება. იგი გამოუშვებს ერთი მილიონი მეტრით მეტ შალის ქსოვილებს, ვიდრე 1950 წელს.

ფართოდდება ფაბრიკის საქონლის ასორტიმენტიც. შემუშავებული და მოწონებულია მსუბუქი რბილი კასტორის, ჭრელი სახიანი დრაფის, შალის ბოსტონის, ქალის დემისეზონის პალტოს ქსოვილებისა და ბავშვის კოსტიუმების ტრიკოების ნიმუშები.

ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მზა ქსოვილების გამოშვების წლიური გეგმა.

საწარმოში გაჩაღდა მზადება 1954 წლის პროგრამის შესრულებისათვის.

ხორცის ნაწარმი გეგმის გადამეტებით

მოსკოვის ა. ი. მიკოიანის სახელობის ხორცკომბინატის დირექტორი ა. დოროხოვი

მოსკოვის ა. ი. მიკოიანის სახელობის ხორცკომბინატი 150-ზე მეტი სახელწოდების ნაწარმს უშვებს. 1950 წელთან შედარებით ძეხვეულის გამოშვება ერთნახევარჯერ გაიზარდა, დაფასოებული ხორცის გამოშვება გადიდდა თითქმის ერთიშვიდად, კატლეტისა და ხინკლისა — 2,3-ჯერ. მარტო ერთი წლის განმავლობაში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 110 მილიონი მანეთით. მაგრამ ჩვენი საწარმო ჯერეოენად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის განუწყვეტელ მზარდ მოთხოვნილებას. კოლექტივი მთელ ძალღონეს ახმარს იმას, რომ გაადიდოს ხორცის ნაწარმის გამოშვება, გაიფართოოს მისი ასორტიმენტი და გაუმჯობესოს ხარისხი.

მომავალ წელს კომბინატის მუშაკები დიდ ყურადღებას მიაქცევენ უმაღლესი ხარისხების ნაწარმის გამოშვებას. მატულობს შებოლილი ძეხვეულის დამზადება. საწარმო შეუდგება იმ ნაწარმის გამოშვებას დაფასოებული სახით, რომელზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. (საკდესი).

პრემიები მეცნიერული შრომებისათვის

ამას წინათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა პრემიები მიაკუთვნა მთელ რიგ მეცნიერებს, რომლებმაც მეცნიერება გაამდიდრეს ახალი მნიშვნელოვანი შრომებით ცოდნის სხვადასხვა დარგში. ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში პრემია მიეკუთვნათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს მ. ბოკუჩავასა და ვ. პოპოვს. მათ შეიმუშავეს მწვანე აგურა ჩაის მომზადების მეცნიერული საფუძვლები და ახალი ტექნოლოგია. **სურათზე:** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ბოკუჩავა (მარცხნივ) და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. პოპოვი ამოწმებენ ახალი ტექნოლოგიის მიხედვით დამზადებული მწვანე ჩაის ხარისხს.



ფოტო ვ. შაროვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

წღიური გეგმების შესრულება

მცხეთა. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) ენერგეტიკოსებმა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური პროგრამა ორი კვირით ადრე — 100,3 პროცენტით გაანაღდეს, ამასთან საკუთარ მოხმარებაზე ელექტროენერგიის ხარჯი 11 პროცენტით შეამცირეს.

ქუთაისი. (საკ. კორ.). აგურის მექანიზებული ქარხნის კოლექტივმა, რომელიც სამტრედიის აგურის ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება, მიმდინარე წლის დავალება დეკემბრის პირველი დეკადისათვის შეასრულა. მეაგურეებმა იკისრეს დეკემბრის ბოლომდე 1954 წლის ანგარიშში დაამზადონ 200 ათასი ცალი აგური.

შესრულებულია ციტრუსების დამზადების გეგმა

ბათუმი. 22 დეკემბერი. (საქდესი). აჭარის მეციტრუსეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ციტრუსების ჩაბარების ვალდებულებანი. დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩააბარეს 203 მილიონზე მეტი ნაყოფი — თითქმის 6 მილიონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ციტრუსოვანთა კრეფა და ჩაბარება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯიკად დავსაჯოთ ჩვენი სამშობლოს მოღალატენი

მშრომელთა მრისხანეგა

ჩვენს დიად, თვალუწვდენ სამშობლოში არ არის არც ერთი ისეთი კუთხე, სადაც არ ისმოდეს ხალხის ერთსულოვანი, მტკიცე ხმა: მკაცრად დავსაჯოთ გამცემლები და მოღალატეები! ამ დღეებში ახალი ძალით იჩინა თავი საბჭოთა ადამიანების დიადმა და ურღვევმა მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, სოციალისტური სამშობლოსადმი მშრომელთა უანგარო სიყვარულმა და ხალხის მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილმა.

მრისხანედ გაისმის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა ხმა. სუხუმის რაიონის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ხალხმრავალ კრებაზე მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. მირცხულავამ თქვა:

— კომუნისტური პარტიის სიფხიზლის შედეგად ბერიას და მის თანამზრახველთა სამნეული დანაშაულობანი მხილებულ იქნა. ჩვენ მოვითხოვთ სამშობლოს მოღალატეთა უსასტიკესად დასჯას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით და არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ეს ძლევამოსილი წინსვლა. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით პარტიისა და მთავრობის გარშემო, გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ საკოლმეურნეო მინდვრებზე!

ავლაგმოთ იმპერიალიზმის პირსისხლიანი აგენტები

ქუთაისის მშრომელები გმობენ ავანტიურისტ ბერიასა და მის თანამზრახველთა ბანდის საზიზღარ მოქმედებას.

საავტომობილო ქარხნის შასის საამქროში 1.500-ზე მეტი კაცი შეიკრიბა. ინჟინერმა ს. აბზიანიძემ განაცხადა:

— თვითეული პატიოსანი საბჭოთა ადამიანის ღრმა აღშფოთებას იწვევს იმპერიალიზმის დაქირავებულ აგენტთა ბანდის საქმიანობა. ჩვენ მოვითხოვთ ამ გარეწართა დასჯას საბჭოთა კანონიერების მთელი სიმკაცრით.

აბრეშუმკომბინატში ფეიქართა კრებაზე მქსოველებმა ჟ. გველესიანმა და ე. ბაბუნეკო

განა შეიძლება დეკემბერში მაისის ამინდს ველოდოთ?..

უკან დარჩნენ ზაფხულის დღეები. ზამთარი კარგახანია თავის უფლებებში შევიდა. დეკემბრის სუსხი დადგა, ჩამოთოვა.

და აი, ზოგიერთ რაიონშიც წუწუნს უმატეს, არახელსაყრელი ამინდები მინდვრად მუშაობის საშუალებას არ გვაძლევსო.

ბევრნი ასე მსჯელობენ, მაგალითად, აბაშის რაიონში, სადაც დღემდე არ დაუმთავრებიათ სიმინდის მოსავლის აღება. აქ ახლა ოქტომბერ-ნოემბრის საქმეს აკეთებენ, დროს ჩამორჩნენ.

ამ რაიონის ეკონომიკაში სიმინდს — ამ ძვირფას სასურსათო კულტურას — მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რად ღირს თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ წელს აქ 10.290 ჰექტარზე ჰქონდათ დათესილი სიმინდი.

სიმინდის მოსავლის უდანაკარგოდ აღება აბაშის რაიონის პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. მაგრამ მათ სათანადო დასკვნები არ გამოიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სრულიად არადამაკმაყოფილებლად მოემზადნენ მოსავლის აღებისათვის, რის შედეგად მეტისმეტად გაჭიანურეს სიმინდის აღება, დაუშვეს დიდი დანაკარგები.

18 დეკემბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებს 150 ჰექტარზე კიდევ ჰქონდათ ასაღები სიმინდი, აქედან 120 ჰექტარი მარტო სოფელ სუჯუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

ჩამორჩენის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. სამარცხვინო გარღვევის მიუხედავად, კოლმეურნეობები დღესაც მთელ შრომითს რესურსებს არ იყენებენ სიმინდის აღების დასამთავრებლად. მაგალითად, 18 დეკემბერს სოფელ კვათანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის 64 კოლმეურნიდან მხოლოდ 16 მუშაობდა სიმინდის აღებაზე. ამ კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის მოშლას მოწმობს ის ფაქტი, რომ კოლმეურნეები ი. იობაია, ლ. ფირცხალავა, ქ. ცომაია, ბ. ხუხია, ს. კაჭარავა, ი. ყაზეიშვილი და სხვები დიდიხანია აღარ გამოდიან სამუშაოზე. კოლმეურნეებისათვის ცუდი მუშაობის მაგალითის მიმცემია თვით ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ქორჩილავა, რომელიც უკანასკნელი ოთხი დღეა № 1 ბრიგადის ფართობში არ ყოფილა. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ნაესაკოვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც ლ. მიმინოშვილი ხელმძღვანელობს.

როგორც ცნობილია, სიმინდის ჩალას დიდი წილი ეკუთვნის რაიონის კოლმეურნეობათა უხეში საკვების ბალანსში. მაგრამ აქ როდი ცდილობენ დააგროვონ რაც შეიძლება მეტი ჩალა და ამით უზრუნველყონ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება. მაგალითად, სოფელ კეთილარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში სწორედ ცუდი ამინდის მომიზეზებით 200 ჰექტარზე მოუჭრელი დატოვეს ჩალა, რომელიც შემდეგ პირუტყვის ჯოგმა გაანადგურა. სულ რაიონის კოლმეურნეობებს დღემდე 2.000 ჰექტარ ფართობზე აქვთ აუღებელი სიმინდის ჩალა.

გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობათა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი საკვების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. არც ეს გარემოება გახდა გაკვეთილი რაიონის ხელმძღვანელებისათვის. წელს მესამედითაც არ არის შესრულებული უხეში საკვების დაგროვების გეგმა, ყველა კოლმეურნეობას არ გაუნაღდებია საკვების დასილოსების დავალება, დროზე აუღებლობით დაღუპეს 17 ჰექტარი საკვები ძირხვენები.

საკითხავია, რის იმედი აქვთ სოფელ პირველი მაისის მალენკოვის, სოფელ მარნის სტალინის, სოფელ ნაესაკოვის კაგანოვიჩის, სოფელ გეზათის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს, რომლებსაც ჯერ კიდევ 4.000-8.000-მდე ცენტნერი უხეში საკვები აკლიათ?

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ იქ, სადაც მასებთან პოლიტიკური მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა, სამეურნეო წარმატებებიც აქვთ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებზე, სადაც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ორივე ფეხით მოიკოჭლებს. სოფელ კვათანის ლენინის და ნაესაკოვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში, რომელთა საყანე ფართობები მდინარე რიონს გაღმა — ე. წ. „ანჯელში“ მდებარეობს სოფლიდან 12-14 კილომეტრზე, პირდაპირ ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სოფელ კვათანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. მანჯგალაძემ საუბარში განაცხადა, აგიტსაუბრების შესახებ რომ არაფერი გვთქვათ, რაც წელს აქ ერთხელაც არ მოუსმენიათ, მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ერთხელაც არ გაჰკარებიაო.

ზამთარმა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ო. კერძაია, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ქოიავა) სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ისინი ტელეფონების განუწყვეტელი რეკვა და წუწუნი უამინდობაზე. მაგრამ ერთი რამ არის საკითხავი: განა შეიძლება დეკემბერში მაისის ამინდს ველოდოთ?

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როცა კრება მოუმზადებელია“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 26 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში გაკრიტიკებული იყო მცხეთის სატყეო მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელიც მოუმზადებლად და პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ინსტრუქციის დარღვევით ჩატარდა.

პარტიის მცხეთის რაიკომის ბიუროს გაანიხილა კორესპონდენცია და დადასტურებულად ცნო მასში მხილებული ფაქტები. ბიუროს დადგენილებით რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილებას დაევალა ხელმეორედ მოაწყოს ანგარიშგება-არჩევნები მცხეთის სატყეო მეურნეობის პარტორგანიზაციაში.

რაიკომის ბიუროს საანგარიშო-საარჩევნო კრების მოუმზადებლად ჩატარებისათვის მათითება მისცა რაიონული კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. გ. კეკელიძეს.

გასტროლები ლენინგრადში

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 3 დეკემბერს ჩავიდა ქ. ლენინგრადში. ანსამბლი აქ დიდიხანია არ ყოფილა და მისმა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სალაროებთან ხშირად ნახავდით წარწერებს: „ყველა ბილეთი გაყიდულია“.

ლენინგრადში ანსამბლმა გამართა რამდენიმე კონცერტი, რომლებმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს. კონცერტები მოეწყო მუშათა რაიონებშიც. ვიბორგის და ილიჩის სახელობის კულტურის სახლების უზარმაზარი დარბაზები მაყურებლებს ვერ იტევდა, აქ იყვნენ ქარხნების მოწინავე ადამიანები. კონცერტების შემდეგ მუშათა წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ანსამბლის კოლექტივს.

11 დეკემბერს გაიმართა ანსამბლის შემოქმედებითი შეხვედრა ლენინგრადის თეატრალურ საზოგადოებრიობასთან, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ორივე მხრიდან მისალმებების შემდეგ ანსამბლის კოლექტივს მიართვეს თაიგულები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „სიმღერას პარტიაზე“ (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილისა), „ნანას“, საკოლმეურნეო შაირებს, რუსულ სიმღერებს — საბჭოთა ახალგაზრდობის მარშს, ხალხურ კაზაკურ სიმღერას, აგრეთვე ცეკვებს „დავლურს“, „განდაგანას“, „რამაიდას“, „მწყემსურს“.

ანსამბლის კოლექტივმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. 14 დეკემბერს ანსამბლი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც დაჰყოფს ორ კვირას და გამართავს კონცერტებს.

შ. გვალია.

სურათზე: საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლა ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში.

მოსკოვი

მოწინავე საწარმო

მოსკოვის ფაბრიკა „კრასნაია კრუტილშჩიცა“ უშვებს გრეხილ აბრეშუმს. ეს ფაბრიკა ნატურალური და ხელოვნური გრეხილი აბრეშუმის ძაფის ფართო ასორტიმენტით ამარაგებს მოსკოვისა და მისი ოლქის, ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკების, თბილისის, აზერბაიჯანის ყველა აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკებს.

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ენერგიულად იბრძვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ჯერ კიდევ 28 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, 10 თვის განმავლობაში დაზოგა ნედლეული, რომლისგანაც შეიძლება მოიქსოვოს 11 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის VII პლენუმისათვის

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის პლენუმთან დაკავშირებით დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში მიმდინარეობს სიმღერების ავტორ მოსკოველ კომპოზიტორთა და მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედებითი საღამოები.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზებში უკვე გაიმართა სიმღერების ავტორ კომპოზიტორთა — ა. ნოვიკოვის, მ. ბლანტერის, რ. გაბიჩვაძის, ს. მოკროუსოვის, ა. სატიანის, ვ. ბელის, ლ. ბაკალოვის, ა. ოსტროვსკის და სხვათა შემოქმედებითი საღამოები.

კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონცერტების პროგრამაში იყო მათ მიერ შექმნილი სიმღერები, რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს. რ. გაბიჩვაძის ნაწარმოებებიდან შესრულებული იყო სამი სიმღერა მუსიკიდან, რომელიც მან დაწერა საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში დადგმულ მ. ბარათაშვილის პიესა „ჭრიჭინასთვის“. სიმღერები შეასრულა გ. ოსტროვსკაიამ, რომელიც ჭრიჭინას როლს თამაშობს. ეს სიმღერები შესრულებულ იქნა აგრეთვე კომპოზიტორთა დიდ საღამოზე, რომელიც გაიმართა რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში. სიმღერებს ასრულებდა დიდი თეატრის სოლისტი ქალი თ. ტალახაძე.

ვ. მაიაკოვსკის პიესა დედაქალაქის სცენაზე

ამას წინათ სატირის თეატრმა მოსკოველებს უჩვენა თავისი ახალი დადგმა — ვ. მაიაკოვსკის პიესა „აბანო“. სპექტაკლი დადგეს რეჟისორებმა ნ. პეტროვმა, ვ. პლუჩეკმა და ს. იუტკევიჩმა. მუსიკა სპეციალურად დაწერა კომპოზიტორმა ვ. მურადელმა.

„ჭრიჭინა“ უფის თეატრში

მ. ბარათაშვილის პიესა „ჭრიჭინა“, რომელსაც წარმატებით უჩვენებენ მოსკოვის საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში, იდგმება ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. დეკემბრის პირველ რიცხვებში უფის რუსულმა დრამატულმა თეატრმა სეზონი გახსნა ამ პიესით.

ფერადი ფილმი „ოქროს საწმისი“

მეცნიერულ-პოპულარული ფილმების მოსკოვის კინოსტუდიამ დაიწყო გადაღება ფერადი ფილმისა „ოქროს საწმისი“. ახალი ფილმისათვის კადრების უმრავლესობა გადაღებული იქნება სტავროპოლის მხარეში, რომელიც წარმოადგენს ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენების ცენტრს.

კინოფილმი „ოქროს საწმისი“ მაყურებელს გააცნობს აგრეთვე ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას დაღისტანში, საქართველოში და სხვ. (საკ. კორ.).

პასუხი შეკითხვაზე

ბელგიის კონგო აფრიკელ-ამერიკელ აგრესორთა სამსვლელოში

შეკითხვა დ. ვაშაკიძისა, დ. კიკაჩეიშვილისა და გ. გეგუჩაძისა
(წულუკიძის რაიონი).

ბელგიის კონგოდ წოდებული ბელგიის კოლონია მდებარეობს ცენტრალურ აფრიკაში. მას უკავია მდინარე კონგოს აუზის დიდი ნაწილი და მდინარე ზემო ნილოსის აუზის მცირე ნაწილი. მისი ფართობი 2,3 მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 1948 წელს 10,8 მილიონს შეადგენდა. მთავარი ქალაქია ლეოპოლდვილი.

ბელგიის კონგოს მოსახლეობა თავდაპირველად გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. აფრიკის ამ კუთხის სამდიდრეს (ოქრო, ალმასი, სპილენძი, რკინა, ხე-ტყე და სხვ.) ევროპელები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მიიზიდა. XVII, XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში ასეულ ათასობით ზანგი (ბანტუ) ტყვედ წაყვანილ ან მოკლულ იქნა პორტუგალელი მონათვაჭრების მიერ. ადგილობრივი მოსახლეობისათვის არანაკლებ დამღუპველია თანამედროვე „ცივილიზებული“ კოლონიური ექსპლოატაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბელგიის კონგომ მტაცებლური ამერიკული იმპერიალიზმის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ოკეანესგაღმელი მონოპოლისტები აძლიერებენ ბელგიის კონგოში შეჭრას, ფართოდ იკიდებენ იქ ფეხს.

ეს არც გასაკვირველია: ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსვენებას არ აძლევს ბელგიის კონგოს ურანის მადანი. ურანის მადნის საბადოთა ცენტრი შინკოლობვე ფაქტიურად ამერიკელ ხელისუფალთა სრულ კონტროლშია. ამჟამად აქ ყოველწლიურად იღებენ 14.000 ტონა ურანის მადანს. მთელი ეს მადანი ამერიკაში იგზავნება ატომური ბომბების საწარმოებლად. ამერიკის სამხედრო ხროვა ყოველნაირად ცდილობს გაზარდოს მადნის მოპოვება. შინკოლობვეში იზრდება მაღაროების რაოდენობა, განაშრახულია ნარევებისაგან ურანის მადნის გასაწმენდი სპეციალური ქარხნის აგება.

კათოლიკურ გაზეთ „ლიბრ ბელეიკს“ მოჰყავს ცნობები კონგოს ტერიტორიაზე სამხედრო მშენებლობის შესახებ. კამინაში დამთავრდა მშენებლობა დიდი სამხედრო ბაზისა, რომელსაც 49.500 ჰექტარი ფართობი უკავია. ამ ბაზის მშენებლობის ტერიტორიიდან გასახლებულ იქნა 11 სოფლის მოსახლეობა.

იგივე გაზეთი იუწყება ლეოპოლდვილის ახლოს „კონტინენტთაშორისი“ დიდი აეროდრომის მშენებლობის შესახებ. ამ აეროდრომს შეეძლება მომსახურება გაუწიოს ყველა სახის თვითმფრინავს — დაწყებული ტურისტულით და გათავებული მრავალტონიანი თვითმფრინავებით. ასაფრენი ბეტონირებული ბილიკის სიგრძე თითქმის 5 კილომეტრია, სიგანე — 60 მეტრი. ამ ბილიკზე შეიძლება რეაქტიული თვითმფრინავების მიღება. აეროდრომის ახლოს აგებულ იქნება მიწისქვეშა საწყობები საწვავის შესანახად. მშენებლობა უნდა დამთავრდეს სარეკორდოდ მოკლე დროში.

საგულისხმოა, რომ კათოლიკური გაზეთი „ნასიონ ბელეჟ“, იუწყება რა კონგოს მშენებლობის ათწლიანი გეგმის შესახებ, ცდილობს ეს ამბავი ისე დახატოს, როგორც ამ კოლონიის „ეკონომიური პროგრესისათვის“ წამოწყებული ღონისძიება. ნამდვილად კი ამ მშენებლობას „ეკონომიურ პროგრესთან“ საერთო არა აქვს რა, იგი განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მიზნებისათვის, რადგან ეს დიდი ტერიტორია „სტრატეგიულ ინტერესს“ წარმოადგენს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშებისათვის.

აგრესორები, ითვალისწინებენ რა ბელგიის კონგოს „სტრატეგიულ ინტერესს“, ამუშავებენ კონტინენტური რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობის გეგმას, რომელშიც შედის ლეოპოლდვილ-კაზანგულუს, ლეოპოლდვილ-ჩატადის, კოსტერმანვილ-სტენლივილსა და სხვა რაიონებს შორის რკინიგზების გაყვანა. კონგოს შინაგანი გზები შეერთებულ იქნება ინგლისის კოლონიალ კენიის გზებთან, რათა ამით კონგო დაუკავშირდეს ინდოეთის ოკეანეს.

კონგოში ყველა სამშენებლო სამუშაო სრულდება ამერიკელ ინჟინერთა ან ამერიკელთა ფულით დაქირავებულ სხვა ქვეყნების ინჟინერთა ხელმძღვანელობით.

ამერიკელი იმპერიალისტები კონგოში იპყრობენ აგრეთვე ეკონომიურ პოზიციებს. ურანის მადნის გარდა კონგოდან მათ გაიქცეთ მრავალი სხვა ნედლეული — კაუჩუკი, ტროპიკული ტყის ძვირფასი ჯიშები და ა. შ. კონგოდან ამერიკას გაემგზავრა ინჟინერთა ჯგუფი, რომელიც იქ შეისწავლის ტროპიკულ ტყის ექსპლოატაციის ამერიკიულ წესებსა და მეთოდებს. ამერიკელთა „გამოცდილების“ გაზიარების შედეგად უდავოდ გაძლიერდება კონგოს ტყეების გაჩანაგება მტაცებლური მეთოდებით.

იმპერიალისტები არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ ზანგ მოსახლეობას. ამას ბურჟუაზიული გაზეთებიც კი არ ფარავენ. ამერიკელი და ბელგიელი კოლონიზატორები ზანგებს ძალით მიერეკებიან შინკოლობვეს ურანის მაღაროებში, სამხედრო ბაზების, აეროდრომების, რკინიგზების მშენებლობაზე კატორღული შრომისათვის. ადგილობრივ მოსახლეობას ნებადართული აქვს იცხოვროს მხოლოდ სპეციალურ დაბებში. ასეთი დაბები ანუ რეზერვაციები კონგოში უკვე ოცდაათია და მათში 300 ათასზე მეტი ადგილობრივი მოსახლე ცხოვრობს.

კონგოს ადგილობრივი მოსახლეობა გადაშენებისათვის არის განწირული. ნიადაგის კატასტროფული ეროზიის შედეგად აქ წლითიწლობით კლებულობს მოსავლიანობა, მაგრამ ბელგიის კოლონიურ ადმინისტრაციას ეს ოდნავაც არ აშფოთებს. კონგოში ნაკლები ყურადღება ექცევა სამედიცინო მომსახურებას (სულ 400 ექიმი მუშაობს). ამის გამო მეტად დიდია სიკვდილიანობა.

ბელგიის კონგოში შექმნილი მდგომარეობა ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთი მრავლისმეტყველი ფაქტია.

ლ. ხომერიკი.

პოლონეთის მთავრობის საჩუქარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი

ბერლინი, (საკელი). 19 დეკემბერს ბერლინის მუზეუმ „პერგამონში“ საზეიმო ვითარებაში მოხდა გერმანელ მხატვართა სურათების გადაცემა, რომლებიც პოლონეთის მთავრობამ უძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. მხატვრულ ფასეულობათა გადაცემისას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იან ოზიდორჩიკმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საჩუქრად გადაცემულ 117 ნაწარმოებშია გამოჩენილი მხატვრების ფრანც ლენბახის, ადოლფ მენცელისა და სხვათა სურათები.

„კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“

საყურადღებო ნაშრომი ბულგარული ლიტერატურის შესახებ

ჩვენს დიად სამშობლოში უსაზღვროა ინტერესი დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ისტორიის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლისადმი. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ინტერესის ერთ-ერთი დადასტურებაა მ. კვესელავას წიგნი „ბულგარული ლიტერატურა“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“. მასში დაწვრილებით განხილულია ამ ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის აქტუალური საკითხები, დაწყებული ძველი დროიდან, დამთავრებული თანამედროვე ეპოქამდე,—დღევანდელი სახალხო რესპუბლიკის აყვავებისათვის მებრძოლ მწერალთა შემოქმედებამდე. წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული რუსული კულტურის დიდი კეთილნაყოფიერი გავლენა ბულგარულ ლიტერატურაზე, მისი საუკეთესო წარმომადგენლების შემოქმედების პროგრესული ხასიათი და კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

შრომის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბულგარელი ხალხის ბედი ბევრ რამეში ჰგავდა ქართველი ხალხის ბედს. ბულგარეთი საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა თურქი უზურპატორების მიერ რბევასა და აოხრებას. ათასობით ბულგარელი, ისევე როგორც ქართველი პატრიოტი, მამაცთა სიკვდილით დაეცა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თურქთა ველურმა ხროვამ განადგურებამდე მიიყვანა ბულგარული კულტურა. მაგრამ ხალხმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, ენა, ლიტერატურა და ხელოვნება. ბულგარელი ერი, ისევე როგორც ქართველი ერი, საუკუნეობრივი ჩაგვრისა და რბევისაგან იხსნა დიდმა რუსმა ხალხმა, შეუქმნა მას დამოუკიდებლობა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საჭირო პირობები.

ბულგარულ ლიტერატურას დიდი ხნის ისტორია აქვს. სასულიერო მწერლობა მეცხრე საუკუნეში ჩაისახა, მაგრამ შუა საუკუნეებში მწერლობაც და მეცნიერებაც თითქმის მთლიანად ჩაკვდა. ამ დროისათვის არ არსებობდა ორიგინალური საერო დამწერლობის ძეგლები. შუა საუკუნეების წყვდიადში მხოლოდ ძლიერ ხალხურ შემოქმედებას შეჰქონდა სინათლის სხივი. თურქეთის ბატონობის პერიოდში შექმნილი გმირული ეპოსი და ჰაიდუკური პოეზია მომავალში ლიტერატურის დაუშრეტელ წყაროდ და ნაწილად იქცა. ბულგარული ხალხური შემოქმედება აღმოცენდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხალხის გაჭირვება, ტკივილები, მისწრაფებები თავის გამოხატულებას აქ პოულობდნენ.

ბულგარული ორიგინალური ლიტერატურის დასაწყისი პაისი ხილენდარელისა და სოფრომ ვრაჩანელის მოღვაწეობის პერიოდით აღინიშნება. მათს მოღვაწეობას საგანმანათლებლო ხასიათი აქვს და ძირითადად სამშობლოს განთავისუფლებას ემსახურება.

კაპიტალიზმის განვითარება და ფეოდალიზმის ღრეევა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება ამზადებს ეგრეთწოდებულ „ბულგარულ აღორძინებას“. აღორძინების ლეიტმოტივად ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობა იქცა.

სარეცენზიო წიგნში კარგად გაშუქებულია, თუ რა მძლავრად იჭრება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ბულგარეთის ინტელიგენციაში რუსი სოციალ-დემოკრატების რევოლუციური იდეები. ბულგარელი სოციალ-დემოკრატები ვ. ლევსკი და ხ. ბოტევი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას ექსპლოატაციის მოსპობისათვის საერთო ბრძოლასთან აკავშირებენ. ამ პერიოდის ბულგარული ლიტერატურის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები ლ. ყარაველოვი, ხ. ბოტევი, ი. ვაზოვი და სხვები დიდი რუსი მწერლების მძლავრ იდეურ და მხატვრულ გავლენას განიცდიან, მოუწოდებენ ხალხს რუსული კულტურისა და ისტორიის შესწავლის, დიდ რუს ხალხთან მეგობრობისაკენ. ბულგარელთა უსაზღვრო სიყვარული მოძმე რუსი ხალხისადმი, რომელმაც ისინი თურქეთის ხუთსაუკუნოვანი ბატონობისაგან გაათავისუფლა, ღრმად და დამაჯერებლად ასახულია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში.

ბულგარელები სამართლიანად ამაყობენ ბულგარეთში კრიტიკული რეალიზმის პირველი წარმომადგენლის ლუბენ ყარაველოვის შემოქმედებით. მისი კრიტიკული რეალიზმი ნაწილობრივ შეზღუდულია, რადგან მწერლის კრიტიკის მახვილი პირველ რიგში მიმართული იყო თურქი ექსპლოატატორების და არა საერთოდ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ყარაველოვის შემოქმედებას თავისი მოკლეობით და ასახული მოვლენების მასშტაბით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბულგარული პოეზიის მწვერვალი ხრისტო ბოტევია, რომელიც აშუქებდა ყველაზე მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხებს. მისი მახვილი მიმართული იყო მშრომელი ხალხის დასაცავად თურქი დამპყრობლებისა და ბულგარელი ჩორბაჯი ექსპლოატატორებისაგან. ბოტევი გვევლინება გერცენის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ნამდვილ იდეურ მემკვიდრედ. გიორგი დიმიტროვმა შესანიშნავი დახასიათება და საუკეთესო შეფასება მისცა ბოტევის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, როცა თქვა: „ვემსახურით ხალხს ისე უანგაროდ და ბოლომდე, როგორც ემსახურებოდა მას ხრისტო ბოტევი“.

ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსი ივანე ვაზოვი ხრისტო ბოტევის გზას მიჰყვება. მან მთელი ეპოპეა შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თემებზე. იგი ამ მოძრაობის და რუსეთის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მემატიანეა. ვაზოვის შემოქმედებითი მეთოდიც კრიტიკულ-რეალისტურია. ვაზოვმა რუსული პროგრესული მწერლობის საგრძნობი და ნაყოფიერი გავლენა განიცადა. მისი შემოქმედების ზოლო პერიოდში იგრძნობა ის გულგატეხილობა, რომელიც მასში ბულგარეთის განთავისუფლების ცალმხრივობამ გამოიწვია: თურქი კოლონიზატორები შეიცვალნენ „განათლებული“ ევროპელი ექსპლოატატორებით, რომლებიც თურქეთზე არანაკლებად სწოვდნენ სისხლს მშრომელებს.

ბულგარულმა ლიტერატურამ ხალხისული პერიოდიც განვლო. ლიტერატურის ტრიბუნიდან ხალხისნენი მოუწოდებდნენ მშრომელ გლეხობას უმეცრებიდან თავის დაღწევისა და განათლებისაკენ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და 900-იანი წლების დასაწყისში ბულგარულ ლიტერატურაში იჭრება დეკადენტური მიმართულების ნაკადი. ამას ხელი შეუწყო სოციალურმა პირობებმაც. ბულგარული სიმბოლიზმი საზოგადოების გარკვეული ფენის იდეურ გადაგვარებასა და გახრწნას გამოხატავდა.

1923 წლის ცნობილმა სექტემბრის აჯანყებამ გამოაფხიზლა და დეკადენტური ბურუსიდან გაათავისუფლა მრავალი ბულგარელი მოღვაწე. იწყება სიმბოლისტური სკოლის რღვევა. მისი ბევრი წარმომადგენელი ხალხისა და პროგრესის სამსახურში დგება. სიმბოლისტურ და იმპრესიონისტულ მიმდინარეობასთან ბრძოლაში გამოწრთობილი რეალისტური ლიტერატურული კრიტიკა შემოქმედების მარქსისტული პრინციპების პროპაგანდას ეწევა. ფართო ხასიათს იღებს ანტიფაშისტური მოძრაობა. აღმავლობას განიცდის პროლეტარული მწერლობა, რომლის ააუკეთესო წარმომადგენლები ლუდმილ სტოიანოვი, ხრისტო სმირნენსკი, ნიკოლა ვაპცაროვი რევოლუციურ საქმიანობასაც ეწევიან.

1942 წელს ფაშისტმა ჯალათებმა დახვრიტეს მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი ნიკოლა ვაპცაროვი, მაგრამ ვაპცაროვიცა და მრავალი სხვა მგზნებარე პატრიოტიც ცოცხლობენ ბულგარელი ხალხის გულში. თავისუფალ ბულგარელ ხალხს არ დაავიწყდება საყვარელი პოეტის სიტყვები: „მწამდეთ, ძმებო, ბრძოლაში თქვენთან ვიყელი ისევე, როგორც მივლია“.

მხოლოდ 1944 წლის 9 სექტემბრის ახდა ბულგარელი ხალხის სანუკვარი ოცნება: საბჭოთა ჯარების მიერ გათავისუფლების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება სოციალიზმის აშენებისა და გამარჯვების დიად საქმეში.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ბულგარული კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება. ბულგარეთის მთავრობის მზრუნველობით მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს ყველა პირობა აქვთ ნამდვილად სახალხო, რეალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შესაქმნელად.

მ. კვესელავას წიგნი უთუოდ საყურადღებო ნაშრომია. ის პირველი ნაბიჯია დემოკრატიული ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების ქართველი მკითხველისათვის გაცნობაში. წიგნში ვრცლად წარმოდგენილია ბულგარული ლიტერატურის საკვანძო საკითხები. ავტორი ცდილა საკუთარი თვალთახედვით განეხილა ბევრი სადისკუსიო პრობლემა. მისი დასკვნები ხშირად სამართლიანია. ბევრ საკითხში გარკვეული სინათლეა შეტანილი.

შრომაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიას. ავტორი საფუძვლიანად განიხილავს XIX საუკუნის ქართულ პრესას, სადაც პროგრესული ქართველი მოღვაწეები სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქებას.

წიგნის ავტორს დიდი რაოდენობით და კარგად აქვს გამოყენებული როგორც ბულგარული, ისე რუსული და თანამედროვე საბჭოთა კრიტიკული ლიტერატურა.

წიგნში არის ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი თარიღი სწორად არ არის მოყვანილი. მაგალითად, რაკოვსკის დაბადებისა და გარდაცვალების წლები. ხშირად გვხვდება ერთი და იგივე ფაქტი ერთი და იგივე კომენტარით. სიმბოლიზმის გაშუქების დროს მის მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძვლებზეა ლაპარაკი და არც ერთი სპეციფიკური სიმბოლისტური ლექსი, სახე არ არის გარჩეული. სარეცენზიო წიგნში შედარებით ცოტა ადგილი აქვს დათმობილი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროზას, პოეზიასა და დრამატურგიას. საილუსტრაციოდ მოყვანილი ლექსების თარგმანების დიდი ნაწილი დაბალხარისხოვნად არის შესრულებული. მკითხველი კმაყოფილი არ რჩება იმ კომენტარებით, რომლებიც მკვლევარს უგემოვნოდ თარგმნილი ტაეპებისათვის აქვს მიძღვნილი. მცირეა სახელების საძიებელში შეტანილი ცნობებიც. შრომაში მეტისმეტად ვრცლად არის გადმოცემული ზოგიერთი მოთხრობის, რომანისა და ლეგენდის შინაარსი. წიგნში ბევრია კორექტურული შეცდომა, ძლიერ ცუდია პორტრეტების რეპროდუქციები.

მთავარია, რომ მ. კვეს

პოლონეთის მთავრობის დადგენილება მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

ვარშავა, 21 დეკემბერი. (საკდესი). ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მეცხოველეობის აღმავლობისა და საკვები ბაზის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღების შესახებ“.

სახალხო პოლონეთის არსებობის 9 წლის მანძილზე, ნათქვამია დადგენილებაში, უდიდესი მუშაობა განხორციელდა, რათა აღმოფხვრილიყო მეცხოველეობისათვის ომის დროს მიყენებული ზარალი, და შექმნილია პირობები მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

1946 წლიდან 1953 წლამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 3.911 ათასიდან 7.385 ათასამდე გადიდდა, ღორის სულადობა — 2.674 ათასიდან 2.720 ათასამდე.

გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. განსაკუთრებით დიდად გაიზარდა მეცხოველეობა სახელმწიფო სოფლის მეურნეობებში.

მაგრამ, ნათქვამია დადგენილებაში, დიდი მიღწევების მიუხედავად, მეცხოველეობის განვითარება ჩამორჩება სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას სასურსათო საქონლით მოსახლეობის, ხოლო ნედლეულით მრეწველობის მომარაგების დარგში.

მეცხოველეობის არასაკმარისი განვითარების მნიშვნელოვანი მიზეზი, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, ის არის, რომ საკვების წარმოება ჩამორჩება პირუტყვის სულადობის ზრდას, სრულად არ იყენებენ ჯოგის განახლების შესაძლებლობას, საკმარისად არ ამარაგებენ გლეხთა მეურნეობებს საშენი მასალებით პირუტყვის სადგომთა რემონტისა და გაფართოებისათვის, საკმაო რაოდენობით არ არის ზოოტექნიკოსთა და ვეტერინართა კვალიფიციური კადრები და სხვ.

დადგენილების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამოცანებს მეცხოველეობის განვითარებისა და გლეხთა მეურნეობებისადმი სახელმწიფოს დახმარების გადიდების დარგში, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შესაბამისად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მითითებებისა მეცხოველეობის უსწრაფესი განვითარების შესახებ და ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის, აგრეთვე მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების გადიდების მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობის განვითარების ისეთი ტემპი, რომ 1955 წელს პირუტყვის სულადობა გადიდდეს შემდეგ ოდენობამდე: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა 8 მილიონამდე, მათ შორის ძროხისა — სულ ცოტა 5.500 ათასამდე, ღორისა — 10.750 ათასამდე, ცხვრისა — 4.250 ათასამდე.

დადგენილება ითვალისწინებს, გადიდდეს გლეხთა მეურნეობისადმი სახელმწიფოს ყოველმხრივი დახმარება, კერძოდ, მკვეთრად გადიდდება წვნიანი საკვების წარმოება.

დაწესებულია შეღავათები სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებათა შესრულების დროს და სხვ.

ღარიბ გლეხთა მეურნეობანი, რომელებსაც აქვთ 1 ჰექტარამდე მიწის ფართობი, 1954 წლის 1 იანვრიდან სრულიად თავისუფლდებიან სახელმწიფოსათვის მეცხოველეობისა და რძის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან. გათვალისწინებულია სავალდებულო ჩაბარებათა შეღავათები მიწათმოქმედების საწარმოო კოოპერატივებისათვის.

იმ ნაწილში, რომელიც ეხება საკვები ბაზის გაფართოებას, სანაშენო მეცხოველეობის განვითარებასა და ზოოტექნიკოსთა და ვეტერინართა დახმარების გაძლიერებას, განსაზღვრულია მთავრობის ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მდელოების, საძოვრების გამოყენების გაუმჯობესებასა და საკვები კულტურების ფართობთა გადიდებას. დიდ როლს შესრულებს სამელიორაციო და სარწყავი ღონისძიებანი. ასეულ ათასობით ჰექტარის მელიორაციისა და მორწყვის სამუშაოთა განსახორციელებლად მთავრობა გამოიყოფს დიდ ფულად თანხებს.

სოფლის მეურნეობის ცხოველთა ჯიშის უსწრაფესი გაუმჯობესების მიზნით, დადგენილება ითვალისწინებს, რომ ყოველგვარი დახმარება გაეწიოს სანაშენო მეცხოველეობის განვითარებას, დიდი ფულადი კრედიტები გამოიყოს გლეხებისა და მიწათმოქმედების საწარმოო კოოპერატივებისათვის, რათა შეიძინონ სანაშენო პირუტყვი.

მნიშვნელოვნად უმჯობესდება ვეტერინარული მომსახურება. 1955 წელს ვეტერინარული სამკურნალოებისა და ვეტერინარული პუნქტების რიცხვი 1.500-მდე გადიდდება.

სოფლის მეურნეობა მიიღებს ზოოტექნიკოსთა ახალ კადრებს. დადგენილება ითვალისწინებს, რომ მკვეთრად გადიდდეს მეცხოველეთა კვალიფიციური კადრების მომზადება.

მთავრობის დადგენილება აგრეთვე განსაზღვრავს სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანებს მეცხოველეობის განვითარებისა და საკვები ბაზის გადიდების საქმეში.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს შორის სამხედრო კავშირის დადების წინააღმდეგ

დელი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის საზოგადოებრიობა და პრესა ილაშქრებენ პაკისტან-ამერიკის სამხედრო პაქტის დადების გეგმების წინააღმდეგ. ბომბეის ყოველკვირეული „ბლიტეი“ ამხილებს პაკისტანის მმართველი წრეების ცდას დამალონ ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე შეუდგენენ თავიანთი სამხედრო ბაზების მშენებლობას პაკისტანის ტერიტორიაზე.

ყოველკვირეულ „ბლიტეის“ სპეციალური კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, რომ „ორი კვირის წინათ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების 2 ინჟინერმა პაკისტანის საჰაერო ფლოტის თანამდებობის პირებთან ერთად მოიარა პაკისტანის ბევრი სამხედრო აეროდრომი და ფაქტიურად დაამთავრა ჩიტრალის რაიონში ბომბდამშენი ავიაციის ახალი დიდი ბაზის ნახაზების შედგენა. ჩიტრალი პაკისტანის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სასაზღვრო პუნქტია პეშვარის ჩრდილოეთით“.

„ინდოეთი, — წერს გაზეთი „ასამ ტრიბუნი“, — მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ პაკისტანი ყიდის თავის თავისუფლებას და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას“.

ნახევრადოფიციოზური გაზეთი „ედვანსი“, რომელიც კანპურში გამოდის, წერს: „ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის სამხედრო კავშირი მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფიქრობენ ომზე და არა მშვიდობაზე“.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ, ინდოეთის პარლამენტის შტატების საბჭოს დეპუტატმა გენერალ-მაიორმა სოკჰეიმ 18 დეკემბერს პრეს-კონფერენციაზე დელში განაცხადა, რომ „პაკისტან-ამერიკის სამხედრო კავშირი ქმნის იმის საშიშროებას, რომ ომის ფსიქოზი შეიპყრობს ასობით მილიონ ადამიანს, რომლებიც წინათ თავისუფალი იყვნენ ამისაგან. ეს კავშირი საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას. იგი წარმოადგენს აგრეთვე ცდას — ჩაბაბან ინდოეთი ამერიკის აგრესიულ ბლოკში და არარად აქციონ ინდოეთის გმირული მოღვაწეობა მშვიდობისათვის. ეს კავშირი მიზნად ისახავს აგრეთვე გათაშოს არაბთა და აზიის სახელმწიფოების ბლოკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც ძალა, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობის მშვიდობიან შენელებას ესწრაფვის“.

შემდეგ სოკჰეიმ ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო ის, რომ „ისინი ამჟამად ისევე იქცევიან, როგორც ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის წინ. ნაცისტთა ლიდერი დებდა ანტიკომინტერნულ პაქტებს. ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარებოდნენ ჰიტლერს გერმანიის შეიარაღებაში. ამჟამად კი ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან თავიანთ სამხედრო ბაზებს მთელ მსოფლიოში. ამის მოტივები იგივეა, რაც იყო ჰიტლერის მოტივები — მსოფლიო ბატონობა“.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, ინდოელმა ეკონომისტმა დოქტორმა რ. ვ. რაომ, რომელიც გამოვდა დელში საგარეო საქმეთა კომიტეტის თათბირზე, განაცხადა, რომ პაკისტან-ამერიკის სამხედრო პაქტი, „ეჭვი არ არის, აქტიურ და აშკარა საფრთხეს უქმნის ინდოეთის თავისუფლებას და ინდოეთის ვერც ერთი მთავრობა ვერ უგულებელყოფდა ამ საფრთხეს“.

როგორც ბიულეტენი „შანტი სამაჩარი“ იუწყება, ინდოელმა მწერალმა მულკ რაჯ ანანდმა განაცხადა: „პაკისტან-ამერიკის სამხედრო კავშირი ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას და ინდოეთის სუვერენიტეტს. ჩვენ ენერგიულად უნდა ვიმუშაოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ამერიკელი იმპერიალისტების მუქარა“.

იმავე ბიულეტენის ცნობით, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორმა კიტჩლუმ განაცხადა: „თუ ომის მანიაკები დაიწყებენ ახალ ომს და დახმარებისათვის მოგვმართავენ, ჩემი ხალხის სახელით ვაცხადებ, რომ ისინი ჩვენგან ვერ მიიღებენ ვერც ერთ კაცს, ვერც ერთ ნამეცც ჩვენს რესურსებს, ჩვენ მხოლოდ გადაეჩრით დავგმობთ მათ“.

ამერიკა-პაკისტანის სამხედრო კავშირი აზიის ხალხთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს

დემონსტრაციები დელში

დელი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დელში პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაიმართა მრავალთასიანი დემონსტრაცია პაკისტან-ამერიკის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დემონსტრანტთა კოლონებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „ინდოელ ხალხს მშვიდობა სურს!“. „ძირს პაკისტან-ამერიკის სამხედრო პაქტი!“, „გაუმარჯოს აზიის თავისუფლებას!“, „ძირს უცხოეთის ჩარევა აზიის საშინაო საქმეებში!“.

დემონსტრაციების დამთავრების შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე გამოსულმა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის გენერალურმა მდივანმა აგარვალმა განაცხადა, რომ ამერიკა-პაკისტანის პაქტი „სერიოზულ შეშფოთებას იწვევს არა მარტო ინდოეთში, არამედ მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც“.

როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, პარტია ჰინდუ მახასაბჰამ მიიღო გადწყვეტილება 27 დეკემბერს მთელ ინდოეთში ზოგწყოს საპროტესტო დემონსტრაციები ამერიკა-პაკისტანის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ.

19 დეკემბერს საღამოს დელში გაიმართა საქალაქო მიტინგი, რომელიც ინდოეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოიწვია. მიტინგზე გამოვიდნენ ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი და ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობს ამერიკა-პაკისტანის სამხედრო კავშირს. რეზოლუციაში ნათქვამია:

„მიტინგის მონაწილეები მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ ინდოელი ხალხის ყველა ფენამ, მათ შორის ნერუს მთავრობამ, პროტესტის ხმა ალიმაღლა ამერიკელი იმპერიალისტების საბედისწერო ღონისძიებათა წინააღმდეგ. მიტინგის მონაწილენი აფრთხილებენ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომ მთელი ინდოელი ხალხი გაერთიანდება პატრიოტულ ბრძოლაში თავისი ქვეყნისა და თავისუფლების დასაცავად“.

რეზოლუცია მიესალმება პაკისტანის პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

უცხოეთის მონოპოლიები ხელში იგდებენ იტალიის ნავთობს

რომი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ ამერიკის ნავთობის კომპანიამ „ჰალფ ოილ კორპორეიშნმ“ აღმოაჩინა ნავთობის საბადოები რაგუზის (სიცილია) რაიონში. უკანასკნელ დროს ამერიკის, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის ნავთობის კომპანიებმა მიიღეს სიცილიაზე ნავთობის ძიების წარმოებისა და ნავთობის წყაროების ექსპლოატაციის ნებართვა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების VI სესია

ფხენიანი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ფხენიანში გაიხსნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების მეექვსე სესია.

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს უმაღლესი სახალხო კრების სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იმ დელეგაციების მუშაობის შესახებ, რომლებიც იყვნენ სსრ კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

2) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

3) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის მოხსენება.

ბულგარეთის სახალხო კრების არჩევნების წინასწარი შედეგები

სოფია, 21 დეკემბერი. (საკდესი). ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ბულგარეთის სახალხო კრების გუშინ გამართული არჩევნების წინასწარი შედეგები.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან 4.987.587 კაციდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 4.964.544 ამომრჩეველმა, რაც 99,53 პროცენტს შეადგენს. სამამული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 4.954.795 კაცმა — კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა 99,80 პროცენტმა.

არჩევნების საბოლოო შედეგები ცნობილი იქნება 24 დეკემბერს.

პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრის მეათე ტურში ლანიელმა მიიღო 392 ხმა, ნეიელნმა — 358 ხმა, მონტელმა — 84 ხმა, სხვა კანდიდატებმა — 33 ხმა. ამრიგად, გაიმართება კენჭისყრის მე-11 ტური, რადგან ვერც ერთმა კანდიდატმა კვლავ ვერ მიიღო აბსოლუტური უმრავლესობა.

მე-11 ტური გაიმართება დღეს 17 საათზე (მოსკოვის დროით).

აფეთქება კუნძულ სიციდიის გოგირდის მაღაროებში

რომი, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, ამას წინათ კუნძულ სიცილიის გოგირდის მაღაროებში მოხდა აფეთქება, რომლის შედეგად 3 მაღაროელი მოკლულ იქნა და 5 ძმიმედ დაიჭრა.

„ევროპის არმიის“ შექმნის გეგმების წინააღმდეგ

ჰაგა, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ იუწყება, როტერდამში გაიმართა საპროტესტო კრება „ევროპის არმიის“ შექმნისა და გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის გეგმების წინააღმდეგ. კრებაზე გამოვიდნენ ჰოლანდიის „მშვიდობის საბჭოს მდივანი მარკ ბაკერი, მწერალი სამ ჰოუდსმიტი და ქ-ნი იო ვან დიგელენი. მათ მოსახლეობას მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კონგრესის მომზადებაში, რომელიც დასახულია მოეწყოს ამსტერდამში 17 იანვარს.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო მიმართვა პარლამენტის პირველი პალატისადმი და მოითხოვა, რომ პალატამ გადადოს 19 იანვრისათვის დანიშნული კამათი „ევროპის არმიის“ საკითხზე.

ღიბანის გაზეთი სირიაში პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩასვლის მიზნების შესახებ

ბეირუთი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ლიბანის გაზეთი „ეს-საჰაფა“, ეხება რა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის ზაფრულა-ხანის ჩასვლას დამასკოში, წერს: „დამასკოს პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ ზაფრულა-ხანი სირიის პრეზიდენტ შიშეკლისთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ შეიქმნას აღმოსავლეთის კავშირი პაკისტანის, ავღანეთის, ირანის, თურქეთისა და არაბთა ქვეყნების შემადგენლობით“.

განაჩენი მოსადიკის საქმეზე

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ირანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მოსადიკს მიუსაჯეს სამი წლის პატიმრობა. ირანის არმიის გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს გენერალ რიაჰის მიუსაჯეს 2 წლის პატიმრობა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განაჩენი გამოუტანეს ამერიკის ჯაშუშებსა და დივერსანტებს

ბერლინი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში დამთავრდა პროცესი ყოფილი ჰიტლერელი გენერლის გელენის ჯაშუშური ორგანიზაციის ყოფილი შვიდი თანამშრომლის საქმის გამო. სასამართლომ ბრალდებულებს ჰაზეს. შმიდტსა და შნაიდერს მიუსაჯა სამუდამო კატორღა, ალკრიუგერს, ესტერრაიხსა და რენერტს 15 წლის კატორღა თვითეულს და ბრალდებულ შველკს — 12 წლის კატორღა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის მეგალურგიული მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. თ. თევოსიანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით ჩინეთს გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. თ. თევოსიანი, რათა მონაწილეობა მიიღოს ზეიმში ანშანის მეტალურგიული კომბინატის ახალ საწარმოთა ამუშავების გამო. ამხ. ი. თ. თევოსიანთან ერთად ჩინეთს გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს II საექსპორტო სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ბ. ბუსიგინი, სსრ კავშირის სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საგეგმო სამმართველოს უფროსი ამხ. ტ. რ. ბობირიოვი და სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ამხ. ი. ა. ობლომსკი.

ჰოვარდ ფასტის განცხადება მისთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ჰოვარდ ფასტმა, გაიგო რა, რომ მას მიენიჭა საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“, განაცხადა: „ეს უდიდესი პატივია, რომლის ღირსიც ადამიანი შეიძლება გახდეს ჩვენს დროში. მე შეძლია მხოლოდ იმედი ვიქონიო, რომ ეს ჯილდო ხელს შეუწყობს შემდგომ ბრძოლას მშვიდობისათვის და რომ მას შეუძლია დაგვეხმაროს იმის დამტკიცებაში, რომ ჩვენს ქვეყანასა და ყველა სხვა ქვეყანას შორის შეიძლება არსებობდეს ურთიერთგაგება, მშვიდობიანი ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა“.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვის ზრდა

შანხაი, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ძეფანეიბაო“ იუწყება, უკანასკნელი 4 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შანხაის პარტიულ ორგანიზაციებში მიიღეს 30 ათასზე მეტი ახალი წევრი, აქედან 63 პროცენტს შეადგენენ სამრეწველო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები. ამ ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ქალაქის საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი; გადიდდა აგრეთვე მუშათა ფენა პარტიის მთელ რიცხობრივ შემადგენლობაში.

გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ზრდას ამ ბოლო დროს. მომდინარე წლის მესამე კვარტალის განმავლობაში, იუწყება გაზეთი, შანხაის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ რიგებში მიიღეს 2.578 ახალი წევრი. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა 217 ახალი პარტიული ორგანიზაცია, მეტწილად საფაბრიკო-საქარხნო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებანი

პეკინი, 21 დეკემბერი. (საკდესი). იზრდება და მტკიცდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი.

როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, ჩრდილოეთ ჩინეთში ამჟამად 10 მექანიზებული სახელმწიფო მეურნეობა და 315 საცდელი აგროტექნიკური სადგურია. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება ამ მეურნეობებში 1950 წელთან შედარებით 50-140 პროცენტით გადიდდა. სახელმწიფო მეურნეობათა მინდვრების მოსავლიანობა წელს საშუალოდ 50 პროცენტით აღემატებოდა გლეხთა მინდვრების მოსავლიანობას ამ რაიონში.

ამას წინათ, აღნიშნავს გაზეთი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩრდილოეთ ჩინეთის ბიურომ მოიწვია სპეციალური კონფერენცია სახელმწიფო მეურნეობათა მუშაობის საკითხებზე. კონფერენციამ შეიმუშავა სახელმწიფო მეურნეობების მუშაობის 1954 წლის გეგმა. გადაწყვეტილებაში, რომელიც კონფერენციამ მიიღო, აღნიშნულია, რომ საჭიროა განმტკიცდეს და განვითარდეს რაიონში არსებული მტს-ები და მანქანის გასაქირავებელი პუნქტები.

საფრანგეთის გაზეთები საბჭოთა სპორტსმენების მაღალი ოსტატობის შესახებ

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ შეჯიბრებაში.

„საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, — წერს გაზეთი „ლიბერასიონი“, — დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს... მიუხედავად მთელი თავიანთი ნებისყოფისა, ჩვენი თანამემამულეები მეტოქეობას ვერ უწევენ საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეები არიან“. „საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა, რომელთა მოძრაობა უფრო მტკიცე და ნარნარია, — წერს გაზეთი „ორორი“, — აშკარად აჯობეს ჩვენს წარმომადგენლებს“. „ორორი“ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს „უძლეველებს“ უწოდებს.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ აღიარებს, რომ „რუსეთის სპორტსმენებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ“.

გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ ჩუკარინის, შაგინიანის, აზარიანის, მანინასა და ბოჩაროვის შესანიშნავ სპორტულ ღირსებებს.

გაზეთი „ფიგარო“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეჯიბრება მიმდინარეობდა „ფრიად მეგობრულ ატმოსფეროში“.

თბილისი ბიბლიოთეკა

თბილისის უნივერმაღში. პატარა ნანა მგალობლიშვილმა ნაძვისხიხათვის სათამაშოები იყიდა.

ფოტო შ. გოქაძისა.

ზოოლოგიის ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დასახმარებლად სწავლობენ მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს.

მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი პროფესორ დ. კობახიძის ხელმძღვანელობით განაგრძობს კახეთის და უმთავრესად შირაქის ველის ფაუნის შესწავლას. ახლახან დაბრუნდა ზოოლოგთა ექსპედიცია, რომელმაც დაამთავრა მდინარე რიონისა და მისი მთავარი შენაკადების იხტიოლოგიური გეგმა. მთავრდება მწერების ფაუნის ზოგიერთი ჯგუფის (ხვატარი, ჭიპინობელა და სხვ.) სახეობრივი შემადგენლობის, გავრცელების შესწავლა.

თბილისის ზღვის ჰიდრობიოლოგიური და იხტიოლოგიური გამოკვლევით გამოირკვა, რომ გასულ წელს ინსტიტუტის რჩევით გაშვებული თევზი (ხრამული) კარგად შეეგუა ახალ წყალსაცავს და გამრავლდა. დადასტურდა, რომ თბილისის ზღვის პირობებს კარგად შეეგუენ მდინარე იორიდან მოხვედრილი თევზებიც — წვერა, მურწა, კარჩხალა და სხვ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

23 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა კონსულტაცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „რუსეთის XIX საუკუნის მატერიალისტური ფილოსოფია მარქსამდელი ფილოსოფიის უმაღლესი მიღწევა“. კონსულტანტია დოცენტი ვ. სიგუა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ბრძოლება ხელმოწერის მიღება 25 დეკემბრამდე შემდეგ ცენტრალურ და რესპუბლიკურ გამოცემებზე.

ცენტრალური გაზეთები.

1. Агротехсоветы колхозам
2. Лесная промышленность
3. Промышленность строительных материалов
4. Сельское хозяйство
5. Советская культура
6. Труд

ცენტრალური ჟურნალები

1. Вожатый
2. Достижения науки и передового опыта в сельском хозяйстве
3. Колхозное земледелие
4. Колхозное производство
5. Сельский строитель
6. Советские профсоюзы
7. Энергетик
8. Автомобильная и тракторная промышленность
9. Текстильная промышленность

რესპუბლიკური გაზეთები

1. Заря Востока
2. ლიტერატურული გაზეთი
3. ლელო
4. Молодой сталинец

რესპუბლიკური ჟურნალები

1. აგიტატორის ბლოკნოტი
2. დროშა
3. ნიანგი
4. მნათობი
5. პიონერი
6. დილა
7. საქართველოს კოლმეურნე
8. კომუნისტური აღზრდისათვის
9. მეცნიერება და ტექნიკა

„სოიუზპეჩატი“

ბიძა დავით, ბიცოლა მაშო, ბიძაშვილები გიორგი, კოტე, სიკო, სოსო, შალვა ჯაბადარები ოჯახებით იუწყებიან **ნინო ლევანის ასულ ჯაბადარი-ბერძენიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-XII, 4 ს. გორკის შესახვევი № 6.

მთავარი სააფთიაქო სამმართველოს და თბილისის სააფთიაქო ქსელის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

ამერიკაკავკასიის რკინიგზის ქალაქის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **გაიანე ეხტატის ასულ მაჭავარიანი-ნარკევიჩის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-XII, 4½ ს. რკინიგზის პროზექტურიდან.

მეუღლე ქსენია, შვილები შოთა, იური, გურამ, რძლები ლეალა, ეთერ. შვილიშვილები გივი, ნოდარ, დები ოვდოთი, ვერა, ანეტა, ძმა მიხეილ იუწყებიან **გიორგი ათანასეს-ძე რატიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-XII, 8 ს. გამოსვენება 27-XII, 3 ს. საბილოის ქ. № 18.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ეფემია თეოდორეს ასულ შაუტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-XII, 7 ს. გამოსვენება 24-XII, 4 ს. არაგვის ქ. № 14.

შვილი ეკატერინე, სიძე ლევან, შვილიშვილები ირაკლი, ლიანა ბარაბაძეები, ძმები ნიკოლოზ, მიხეილ, ფარეზა გაბიტაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ანა ოსიფის ასულ ჯობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-XII, 7 ს. გამოსვენება 24-XII, 3 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 97.

ნოე, სარა, ხუტა, მერი, მაყვალა, ავთანდილ, ლილი, ელისო ჭკუასლები, მიხეილ, ოლია მასხარაშვილები, რეზო სოხაძე იუწყებიან დისა და დეიდის **ნინო გიორგის ასულ კაკრიაშვილის** გარდაცვალებას.

პაშა ამაშუკელი-ლორთქიფანიძე შვილით ოთარით, კოკა ამაშუკელი მეუღლით ეკატერინე ვაშლომიძით იუწყებიან სიძის და ბიძის **გრიგოლ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები სამეილ, ოორამ, სანდრო, აკაკი მარგველაშვილები, რაისა ჯაიანი ოჯახებით იუწყებიან ნინო ვახლის ასულ **მარგველაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ნაგარეევში (ქუთაისის რაიონი).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **დარიხპან მიროტაძის** გარდაცვალებას.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ფალატი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავასახელებთ (ოფიცერთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (ბონრემენტი № 46, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უეცარი სიმდიდრე (4 ს.), **მუსიკალური კომედიის** — შურისმაძიებელი, **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე, **თოჯინების ქართული** — ალადინის ჯადოსნური ლამპარი (10 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, კოლხიდა, 26 კომისრის, ოფიცერთა სახლი — მზითვიანი ქორწილი, **თბილისი** — ფოლადის ჯარისკაცი, **ისანი** — მაღალი ჯიღდო, **კოლმეურნე** — გიორგი საკაძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

რუსული სახალხო არტისტის

ვლადიმერ ღურუვის

პროგრამის I ციკლის

უკანასკნელი დღეები

და დიდი განახლებული საცირკო პროგრამა

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ